



# ღაღას

აღივლი, ბარბა ქუცხე,  
იღახე, აფრო მარყო,  
და ზეცა, ქართული, სწავლითა  
სამბადა კახინგა<sup>12</sup>

№ 3 საბავშვო ჟურნალი საქართველოს საბავშვო ჟურნალთა კავშირის მიერ გამოცემულია 1959

# მადლობა

8 მარტი 1959 წ.

მ. შაველიძე

**ქ**ვა არ მესროლა ბიჭუნამ,  
ბარტყების გაზრდა მადროვა,  
ჭიკჭიკით მინდა მივუძღვნა  
მის მასწავლებელს **მადლობა**



**გ**იამ შხეს არც კი აცალა  
მინდორზე ჭირსლის გადნობა,  
ბალახი მომიბუნინა,  
ვიას გამზრდელსაც **მადლობა**

**მ**წუროდა, ჩემი ფესვები  
ჩუქუნა წვიმას ნატრობდა!  
ბავშვებმა წვალი მომიგდეს,  
მთ დამრიგებელს **მადლობა**

**ს**რ დამიბტვრია კოვრები,  
მეც დამაცალა ვარდობა.  
კეთილი გული ჰქონია,  
იმ ბიჭის დედას **მადლობა**

**წ**ამოკვეფელნენ ბავშვები  
კატამ რომ დაგვიმართოვა,  
გამოგვიტანეს საკენკიც,  
მთ კარგ ბებინს **მადლობა**

ნახატი მ. შაველიძისა



# ქ მ ე ბ ი

## მ. შარვაშიაშვილი

უცხად სოსო წამოხტა და ძმას გამოე-  
დევნა, მაგრამ გოგას რას დეწყოლა!

— მე მივეშველები დედას, მე მივე-  
შველები!—ჩასძახოდა იგი კიბეზე სირბი-  
ლით ჩამავალ ძმას.

ჩოცა. გოგამ კიბე ჩათავა და ჭი-  
კრისაკენ მოაქურცხლა, სოსო იატაკზე გა-  
იშხლართა და ტირილი მორთო.

ნახატი ქ. მახარაძისა

სოსო აივნის კუთხეში მიმჯდარიყო და  
სამთვალა ველოსიპედს წმენდდა.

მამა ისევ იწვა. იგი წუხელ შულამისას  
დაბრუნდა სამუშაოდან და დლით გვიან  
გაიღვიძა.

უფროს ძმა გოგას ხელში „დედაენა“  
ეჭირა, დიდი კაცივით ბოლთას სცემდა  
აივანზე და მომბებრებლად ერთსა და იმა-  
ვებს კითხულობდა: აი, ია; ია; ია, აი...

— მამა, დედიკო მოდის!—დაიყვირა უც-  
ხად გოგამ და აივნის მოაჯირთან მიიხიბი-  
ნა. მამაც წამოდგა. სოსომ კი ერთი ვახედა  
დედას და ისევ ველოსიპედის წმენდა განა-  
გრძო.

დედას ერთ ხელში სანოვავით ხაფხე კა-  
ლათა ეჭირა, მეორეში კი—თეთრი თონის  
პურები.

— შვილო, განაგრძე სწავლა, ხაცაა  
სკოლაში უნდა წახვიდე, —უთხრა მამამ გო-  
გას და სოსოს მიუბრუნდა:—შენ კი, ჩემო  
პატარა ვაჟკაცო, დედას ჭიშკარი გაუღე-  
გოგამ წიგნის კითხვა განაგრძო.

სოსო კი გვერდზე შეტრიალდა, თითქოს  
მამის ნათქვამი არ გაეგონოს, და უფრო  
მონდომებით დაუწყო ველოსიპედს წმენდა.

— სოსო, არ გესმის, გაიქეცი, შვილო,  
დედას კარი გაუღე, —გაუმეორა მამამ.

— არ წავალ, —მიუგო თავჩალუნულმა  
სოსომ.

— რატომ?—განცვიფრდა მამა.

— არ წავალ და იმიტომ.

გულმოსული მამა ერთ ხანს გაოცებით  
უსტკერდა ჯიუტ შვილს, მერე თქვა:

— ძალიან კარგი, მაშ დედას მე გა-  
ვუღებ კარს.

— მოიცი, მამიკო, დედას კარსაც გავუ-  
ღებ და ჩავეშველები კიდევ, —თქვა გოგამ,  
წიგნი მაგიდაზე დადო და კართან მი-  
იხიბინა.





# გზისკაცები

ლ. მოქლაძე  
სპორტის ოსტატი

ნახატები მ. სამსონაძისა

არაღმდგომი ქალაქიდან მამის სოფელში ჩავდიოდი ხოლმე. იქაური გლეხები საქონელს ზაფხულობით მთაში მიერეკებოდნენ საძოვრად. ძალიან მინდოდა ბიძას მთაში გავყოლოდი, მაგრამ არ მიშვებდნენ, პატარა ხარ, მოითმინე და მოესწრებიო.

ერთხელ ბიძაჩემმა მახარა, მთაში წაიყვანო. დედას ბიძაჩემის ძველი ნაბადი გადავაჭრევიჩე, თბილი წინდებიც გამომიძებნა, მერე ჩემი უფროსი ძმის ზურგჩანთაში საგზალი ჩამიწყო და დასაძინებლად გამისტუმრა. მაგრამ რა დამაძინებდა! მეშინოდა, ბიძა უჩემოდ არ წასულიყო.

გზას დამიანად გავუღეძეთ.

ის მთა, რომელიც ჩვენი სოფლიდან ჩანდა, ყველაზე მაღალი მეგონა. მაგრამ იქ რომ ავედი, კიდევ უფრო მაღალი, თოვლით დაფარული მთები დავინახე.

კარგა ხანს დავყავი მწყემსებთან, ვეხმარებოდი მათ, მიამბობდნენ ზღაპრებს, თვალი კი მაინც იმ თოვლიან მწვერვალებზე მრჩებოდა. იქით მიმიწვედა გული, მათ სანახავად, მაგრამ ისინი ჩემგან ძალიან შორს იყო.



თოთხმეტი წლისა რომ გავხდი, ამხანაგებთან ერთად ნაჭერალას მთაზე აველი; ტყეებსა და ველ-მინდვრებში დავდიოდით, ღამეებს დიდი ნაძვების ძირში ვათენებდით, წვიმიან ამინდშიც იქ ვაფარებდით თავს.

პირველ მოგზაურობას მოჰყვა მეორე, მეორეს—მესამე. მთებთან ჭიდილში ბევრი გასაჭირი და მხიარულება ვნახეთ, ბევრი საინტერესო თავგადასავალიც გადავგხდა.



გავიგონიათ პამირის მთები? კასპიის ზღვის გაღმა, ყარაყორუმის დიდი უდაბნოს იქით მოჩანს მისი ამაყი მწვერვალები. შორიდანვე თითქოს გაფრთხილებენ: არ გაბედო და არ ამოხვიდღო! მაგრამ მის მუქარას როდი შეეუშინდით და ამ რაზოდენიმე წლის წინათ ქართველი მთამსვლელები იმ მწვერვალებზე ასასვლელად გავემართეთ.

ჯერ თვითმფრინავით გავფრინდით, შემდეგ მატარებელში გადავჯექით, მატარებელი მანქანებმა შეცვალა, მანქანანი იცით რამ?—სახელებმა. მთის ვიწრო ბილიკებზე მათ გარდა ხომ ვერაიან გაივლის. ჩვენც იქაურ სოფელში სახელები დავიჭირავეთ, ბარგი-ბარხანით დავტვირთეთ და გზა განვაგრძეთ.

აი, მივადექით მთის გვიმაჟ მდინარე ყირგიზობს. მდინარეზე ხიდი არსად იყო. წყალი დიდ ლოდებს მოავარებდა. ჩვენმა ტაჯიკმა მეგზურმა, რომელსაც ამურლო ერქვა, გავაფრთხილა: არ გაბედოთ და წყალში არ შეხვიდეთ, ძალზე სასიფათოაო. შევეყაყმანდით, მაგრამ სხვა გზა არ იყო, და მდინარეში გადავემვი. მღვრიე ზვირთებმა შორს გამოიტაცა, ძალა მოვიკრიბე, ბობოქარ ტილღებს ვაჯობე და მეორე მხარეს გავვიდი. იმდენად გაქვივებული დარჩა ჩვენი ამურლო, რომ „შაითანი“ მიწოდა, რაც მათებურად ეშმაკს ნიშნავს.

მე კი გავედი, მაგრამ ბარგი როგორ უნდა გავეტანა! ამხანაგებმა რამ-

დენიმეჯერ მესროლეს ბაგირი. მძიმე ბაგირმა შუა მდინარემდეც ვერ მოაღწია. ბოლოს ასეთი ხერხი იხმარეს: ბაგირს წვრილი თოკი მოაბეს, წვრილ თოკზე ქვა დაამაგრეს და ისე მესროლეს. როგორც იქნა დავიჭირე თოკი, გამოვათრიე ბაგირი, მივაბი ხეზე, მაგრად გავკიბე და ამა, საპაერო გზაც მზად იყო! პირველად სახედრები გადავიყვანეთ. უნდა გენახათ, როგორ იუცხოვეს ჰაერში მგზავრობა; როგორ ფართხალებდნენ! მაგრამ შუა მდინარეს რომ მიადწიეს, შეშინებულებს ფართხალის თავიც აღარ ჰქონდათ.



ასევე გადავიტანეთ ბარგი და გავუდექით გზას.

მეორედ უფრო დიდი მდინარე გადავვლომა. აქაური ხალხი ამ მდინარეზე თურმე ნავტიკებით გადადის: ხარის ტყავებს ტიკივით გაბერავენ, დააკრავენ ზედ გრძელ ლასტებს და ხის ნიჩბებით გადაცურავენ ხოლმე. ჩვენც მოგვცა კოლმეურნეობამ ასეთი ნავტიკები. დიდი წვალეებით დავაკარით ზედ სამი-ოთხი სახედარი, დავდეთ ბარგი, ჩავსხედით რამდენიმე კაცი და აქაფებულ მდინარეში შევეცურეთ. სახედ-



რები განცვიფრებით შემოგვცქეროდნენ, ეს რა ხდება ჩვენს თავზეო? სამი დღე მოვუნდით მარტო ბარგისა თუ სახედრების გადატან-გადაყვანას და კარგადაც გავიწაფეთ ნავტიკების გადაცურ-გადმოცურებაში!

ერთი უცნაური ამბავიც შეგვემოხვია: სახედრების ქარავანს პატარა ჩოკინა შემოემატა, დიდყურა, ლამაზი ჩოჩორი. უჭირდა სიარული ახალგაჩენილს და ჩვენ ხშირად ხელში აყვანილი მიგვყავდა ხოლმე.

აი, ბილიკებიც შეწყდა. გზა ჩვენ თვითონ უნდა გავგვეკვლია ამ უძირო ნაპრალებსა, ხერხის კბილებივით ჩაჭრილ კლდეებსა და ყინულებში. ორ დღეს გვაცალა ამინდმა, მაგრამ შემდეგ ატყდა ძლიერი ქარი და თოვა. ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. ყინულის ლოდუები გვეკიდა წარბებზე, წამწამებზე, უღვაშებზე.

ლამით გაჭირვებით დავდგით კარვები. მაგრამ რომ გათენდა და ღრუბლები ოდნავ გაიფანტა, გული სიჭმავით აგვესო: ამ გოლიათისათვის ზედ ნიკაპზე დაგვიდგამს ფეხი!

მალე ეჭვსი ქართველი მთამსვლელი უკვე მწვერვალზე ვიდევით. საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენ ავედით ამ მაღალ მწვერვალზე, რომელსაც მოსკოვის პიკს უწოდებენ.



სვანეთში ერთხელ ხალდეს მყინვარზე ვიყავით დაბანაკებული. ირგვლივ დაგვცქეროდა კავკასიონის მაღალი მთები.

აი, ბუმბერაზი „შხარა“, მუღმივ ნისლში გახვეული მწვერვალი „ჯანდები“, „რუსთაველი“, სვანეთის პატარაძლი — „თენისული“... მაგრამ იმ შვენაბადა ჭალარა მწვერვალს რალა ჰქვია ნეტავ? მისი სახელი არც რუკაზეა აღნიშნული. ეტყობა, დავიწყებია ხალხს მისი მონათვლა. ქვემოთ, საძოვრებისაკენ და-

ვეშვით და მწყემსების ბინებს მივა-  
კითხეთ.

აი, რა გვითხრეს მწყემსებმა:

უსახელო მწვერვალი აღმართულია  
ცილიკობის ქედზე, ხოლო თვით მწვერ-  
ვალს სახელწოდება არა აქვსო. იგივე  
თქვეს ხალდეს უხუცესმა სვანებმაც. სი-  
ხარულით დაებრუნდით ბანაკში და მე-  
გობრებს ვახარეთ, რომ ეს ლამაზი  
მწვერვალი თურმე ჩვენ გველოდება.

ყველამ გადაწყვიტეთ ჩვენი საყვა-  
რელი დედაქალაქის თბილისის 1500 წე-  
ლი შეგვერქმია მისთვის.

იერიში მივიტანეთ იმ მწვერვალზე,  
სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა;  
ჩვენს წინ სწრაფად გარბოდნენ დამ-  
ფრთხალი ჯიხვები. ცოტა ხნის შემდეგ  
ციცაბო კლდეებში გზა საკმაოდ გაძნელ-  
და. ამიტომ თოკში ჩაბმულები მივდიო-  
დით. იმ დღეს, რასაკვირველია, მწვერ-  
ვალზე ვერ ავედით. მივაკვლიეთ პატა-  
რა მოედანს და ღამის გასათევად გა-  
დავწმინდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ თოვაც დაიწყო,  
ატყდა ქეჩა-ქუხილი. ღამით ერთმა ამხა-  
ნაგმა შეამჩნია, რომ ჩვენსკენ ელვის

მოძრავი ცეცხლოვანი ბურთები მოე-  
მართებოდა. ელექტრონით დამუხტუ-  
ლი ბურთები კარგს არას გვიქაღდა:  
ყველა წამოვხტით მეგობრის შეძახილ-  
ზე: რკინის ნივთები სასწრაფოდ მოვი-  
ცილეთ, რომ ის ცეცხლის ბურთე-  
ბი არ მოეზიდა. გაფაციცებით ვადევ-  
ნებდით თვალს მფრინავ ელვის ბურ-  
თებს, მაგრამ შიშსაც არ ვიმჩნევდით,  
ხუმრობით მათ შორიდან სულსაც კი  
ეუბერავდით. შემდეგ ბურთებმა მიმარ-  
თულევა იცვალეს და ქედს დაუყვნენ.  
მთელი ღამე სიცივით კბილს კბილზე  
ვაცემინებდით და ვცდილობდით ერთ-  
მანეთი გავვებოთ.

ღილით, ინათა თუ არა, განვაგრძეთ  
გზა მწვერვალისაკენ. ორი საათის შემ-  
დეგ მწვერვალზე ვიდგით და თერთ-  
მეტი მთამსვლელი ერთმანეთს გამარ-  
ჯებავს ვულოცავდით.

დავეწრეთ წერილი: „თბილისელი  
მთამსვლელები 1958 წლის 11 აგვისტოს  
ამოვედით აქ, ამ მწვერვალზე, რომელ-  
საც სახელად „თბილისის 1500 წელს“  
ვარქმევთ“.

ეს ნაწერი თუნუქის კოლოფში ჩა-  
ვდეთ და მწვერვალზე დავტოვეთ.



# სკოლის ზარი

ა. უოსნიჰვილი

იცის მთელმა სკოლამ,  
იცის სკოლის ზარმაც,  
რომ არც ისე ჩქარა  
ვლვიძება ზარმაცს.

ჰოდა, ადრე დიღით  
რეკავს ჩვენი ზარი,  
რეკავს, იწყებს ხმაურს,—  
ნაუ, ნაუ, ნაუ!

იცის მთელმა სკოლამ,  
იცის, იცის ზარმაც,—  
გალვიძება უნდა  
უქნარას და ზარმაცს.

# ალაქ ბავაჯაჰკე

მ. ძნელაძე

სათამაშოდ მეძახიან  
გია, ცირა და თამარი,  
მაგრამ აბა, როგორ წავაღ,  
დედაჩემი ავად არის.

გუდმოსული მიბღვერს მურა,  
ფისოც ჩემზე გამწყრალია,  
ვერ გაიგვს სულელებმა,  
რომ დღეს მათთვის არ მცალია.

მიფუტანე დედას წყალი  
და ვუთხარი ჩემს მამიკოს:  
„დედას ალარ გავაჯავრებ,  
ოღონდ მუდამ კარგად იყოს“.



ბ. ძორძია

ნახატი მ. მახარაძისა

ძია ნიკოს მოსვლა ყოველთვის უხაროდა სიკოს. ძია ნიკო ხან წიგნს წაუკითხავდა სიკოს, ხან ზღაპარს უამბობდა, ხან გამოცანებს ეტყოდა. განსაკუთრებით გამოცანები უყვარდა სიკოს.

დღესაც მოვიდა ძია ნიკო. ვახარდა სიკოს, მოუჯდა გვერდით და შეაცქერდა თვალებში: აბა, დღეს რას მეტყვისო.

მაგრამ ძია ნიკომ ასე უთხრა:

— ახლა შენი რიგი იყოს! ახლა შენ მითხარი გამოცანა. მაგალითად, გამოვიცნობ თუ არა, რა გიქამია დღეს?

სიკოს გაეცინა, საიდან ეცლოდინება ძია ნიკოს ეს ამბავიო, და ჰკითხა:

— აბა, გამოიციანი, რა ვქამე დღეს?

— ფაფა!—უპასუხა ძია ნიკომ.

— მართალია,— გაუკვირდა სიკოს.—

საიდან გაიგე, ძია?

— გავიგე და ესაა,—გაიცინა ძია ნიკომ.

მეორე ღღესაც მოვიდა ძია ნიკო. აბა, ახლა თუ გამოიცნობს, რა მიჭამიაო, გაიფიქრა სიკომ, მოუჯდა გვერდით და ჰკითხა:

— აბა, თუ გამოიცნობ, რა ვჭამე ღღეს?

— ლობიო!—მიუგო ძია ნიკომ.

მესამე ღღესაც მოვიდა ძია ნიკო. სიკომ შემოსვლა არც კი აცალა, თვალეზში შეაჩერდა და ჰკითხა:

— აბა, ახლა თუ გამოიცნობ, რა ვჭამე ღღეს?


— თოხლო კვერცი,—გაიცინა ძია ნიკომ.

სიკომ გაკვირვებისაგან პირი დაალო:

— ძია ნიკო, საიდან იცი, რასა ვჭამ ხოლმე?

ნიკომ უპასუხა:

— სახე გაქვს ისეთი, ყველაფერი ზედ იწყურება!



3. მომრავალი

# კურღლელი

ეს კურღლედი ნაცარა მთიდან ჩამოცანცადა, შეგვეპარა ბოსტანში, სტაფილოსგან გაგვეცადა. შე ნაცარა კურღლელო, ცერცეცა და ყურგრძელო, რომ მიზარ და სადილობ, შენ დათესე სტაფილო?!

ნახატი შ. ხხალაძისა

# ჩვენი ფერმა



ერთი მიანიც, ის ცულლუტი, ყველას ერჩის, არვის ტოვებს ხან ერთს ურქენს, ხან მეორე ეჭიდება თავის ტოლებს. ეს შუბლთეთრა ნაბოლარაც ჩხუბისთავი ვინმე გახლავთ: ახტა, დახტა... ისკუბა და ყურშას ზურგზე გადაახტა.

ზაქები და ბოჩოლები,—  
ირმა, ლომა, ნიშა, თაფლა...

ვთვალე,

ვთვალე,

ვერ დავთვალე,

ვერ შევძელი მათი დათვლა!

საწველელით, ხედავთ, კართან,

ეს დეიდა გახლავთ მართა.

აგერ თებრო... ესეც დალი,

ჩამოუსხეს ხბორებს წყალი.

იმით უნდა ვუმადლოდეთ,

ჩვენს დოვლათს რომ ტყეა არ აქვს:

ცისმარე დღეს თავსაყარად

გვიგზავნიან რძეს და კარაქს.

ა. რენლი

ნახატი მ. შოსნიგვილისა

არც კი იცის, ალბათ, ბევრმა.  
რომ მთაშია ჩვენი ფერმა,  
სადაც ბრწყინავს მწვანე მდელთა.  
ვერცხლის ცვარით დანამული,  
ფერად-ფერად ყვავილების  
დგას სურნელი საამური,  
ხან ფანდურის ხმა გაისმის,  
ხან რაკრავებს სალამური.

შორიდან რომ თვალი მოპკრა,  
იტყვი:—ჰო, რა ლამაზია!  
ახლოს მიხვალ,—გაიოცებ:  
— აი, ფერმაც ამას ჰქვია!

დიდი კარი გამოადგეს,  
გზას ვუთმობ და კედელს ვეკვრი:  
ჯერ ხბორები გამოცვივდნენ  
კენტრუმით და კულაბზეკით.

ვუყურებ და... ამ სურათმა  
თვალი უფრო გამინათლა,—  
ვთვალე,  
ვთვალე,  
ვერ დავთვალე,  
ვერ შევძელი მათი დათვლა!



ბორცვზე რომ დგას შავულვაშა,  
ეს ბიძია განლავეთ ვაჟა.  
ნაბდიანს კი, შორით რომ ჩანს,  
ეძახიან ძია გოჩას.  
აგერ გელა, ესეც თედო,  
მაგრამ რალა გავაგრძელო, —  
მწყემსებია, საქმე უყვართ  
საგმირო და სასახელო!

სერს კი ჯოჯი შეშენია,  
დილა არის მშვენიერი,  
კრიალა ცა მიწას ხატავს  
იისა და ვარდის ფერით.  
არც კი იცის, ალბათ, ბევრმა,  
რომ მთაშია ჩვენი ფერმა,  
სადაც ბრწყინავს მწვანე მდელო,  
ვერცხლის ცვარით დანამული,

ფერად-ფერად ყვავილები  
დგას სურნელი საამური,  
ხან ფანდურის ხმა გაისმის,  
ხან რაკაკებს სალამური.





# გემები

ლ. ჭიჭინაძე

ნახატი მ. როინიძევილისა

— გემის გაკეთება ვისწავლე, გემის გაკეთება ვისწავლეო, — საბავშვო ბაღიდან სახლამდე სულ ამას ელაპარაკებოდა ლეილას გოჩა. ხოლო შინ რომ მივიდა, დედას უთხრა:

— დედიკო, ქალაღი მინდა!

დაჰპირდა დედა, მაგრამ საქმეში გაერთო და მალე გადააფიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ გოჩამ ისევ მოაგონა ქალაღი:

— ბაღში გემის გაკეთება ვისწავლე და მასწავლებელმა დაგვავადა: ხვად შინიდან თქვენი დაშბაღებული გემები მოიტანეთო.

— ჰო, ახლა კი მოგცემ. აბა, ვნახოთ,

გემის გაკეთება როგორ იცი, — უთხრა ლეიმ და ქალაღი გაუწოდა.


მაგიდასთან ორნი ისხდნენ: ლეილა და გოჩა. ლეილა გაკვეთილებს ამზადებდა, გოჩა კი ქალაღებს კეცავდა.

— აი, ჩემი გემი! ხომ კარგია? — წამოიძახა რამდენიმე ხნის შემდეგ გოჩამ



ერთმა პატარა თაგუნამ კაკალი შეახრამუნა. ცხვირი ზეცამდე ასწია და სასეირნოდ გასწია.

ჯირკვზე ჩამოჟდა... ცხელა! ღრუბლებს დაუწყო ცქერა. გამოისახა გვირაბი, გვირაბი ვახდა ჭირაფი!



მართლა ნამდვილ გემს ჰგავდა! აბა, ვინ ეტყობა, ცუდიო.

გორა კვლავ შესკუბდა სკამზე და სხვა გემის დამზადებას შეუდგა.


იმ დღეს გორამ იმდენი გემი გააკეთა, იმდენი, რომ თვითონაც კი ვეღარ დათვალა.

— ეგ შენი დაკეცილი ქალღმებრი მართლა გემები ხომ არ გგონია?—გაეცინა დეიდას.

— გემებია, აბა რა არის?—უბასუხა გორამ, წყლით საფხე თეფში მოარბენინა და თავისი გემი შიგ ჩაუშვა,—ახლა რალა აკალია?

— კაპიტანი!— წამოეშვედა დედა გორას.

— კაპიტანიც მე ვიქნები!—თქვა გორამ.



თაგუნას გასაკვირალ—  
ჟირაფი იქცა ვირალ!



ვირი რომ კურდღლალ გადიქცა,  
თავი სიცილით წაიქცა...

# ფისო და ფასო

ნ. აღნიშვილი

ნახატები ბ. როინიშვილისა

ირინე და მარინე დიდ სასლში ცხოვრობენ. ტოლები არიან, საბავშვო ბაღში დადიან და უერთმანეთოდ ვერ სძლებენ. ორივეს ძალიან ლამაზი კნუტები ჰყავთ. მარინეს — ფისო, ირინეს კი — ფასო. კნუტები ბურთივით ჩამრგვალებულები არიან. ირინეს ფასო მეტად კოპწია კნუტია. როგორც კი თვალს გაახეღს, ერთი დაიკრუტუნებს, ფანჯარაზე შესკუპდება და თათებით პირის ბანას მოჰყვება. ირინე კი, ცოტა არ იყოს, ზარმაცი გოგოა. პირის დაბანა ეზარება. დიდუდა ხშირად ეტყვის სოლმე:

— ფასოს მაინც მიპაპე!  
სომ სედავ, რა სუფთაა,  
ადგება თუ არა, მაშინვე  
პირს იბანს. აბა, მაგოდენა  
გოგოს კნუტმა პირის და-  
ბანა როგორ უნდა დაგა-  
სწროს?

— რატომ არ დაიბანს,  
მაგას არც წუალი წუწავს,  
არც საპონი სწვავს თვალებს,  
არც სავარცხელი აწიწკნის  
თმას! — უპასუხებს  
ირინე.



ლომად გამოჩნდა კურდღელი, —  
გაოცდა თავი კულდგრძელი!



ჰმ, ლომი — უკვე ვეფხვია.  
ცას თათით შემოეხვია...



ვეფხვი რომ იქცა კატად,  
თავგმა მოუსვა სწრაფად!



ერთ დღეს დერეფანში სამიწედი ჩხაკილი გაისმა. მარინე და ირინე ოთახებიდან რომ გამოცვივდნენ, ფასო და ფისო ერთმანეთს თათებით ჩაფრენოდნენ და კნავილით იქაურობას ეკლავდნენ. გოგონებმა თავთავიანთი კნუტები



ნახატები მ. პარკინიზილისა



ერთი გონიერი და კეთილი გულის დალაქი ცხოვრობდა ალექსანდრიაში, სახელად აბუსირი ერქვა. ის ღარიბი იყო და ლუკმაპურს დიდი გაჭირვებით შოულობდა. ამიტომ გადაწყვიტა მიეტოვებინა ალექსანდრია და სხვა ქვეყანაში წასულიყო.

დალაქის მეზობლად ერთ ცბიერსა და ხარბ მღვდელს ჰქონდა სახელოსნო, მას აბუ-კირი ერქვა. ტყუილდებითა და გაიძვერობით გააჭონდა თავი: როდესაც ვინმე მიუტანდა ტანსაცმელს შესაღებად, აბუ-კირი საფასურს წინასწარ გამოართმევდა, —საღებავი უნდა ვიყიდეო. შემკვეთიც ვნდობოდა; აბუ-კირი კი მის ტანსაცმელს ბაზარში გაყიდა ხოლმე და პატრონს მოუბოდიშებდა: — გუშინ არ მეცალა და ხვალ მობრძანდითო. მეორე დღეს კი ასე ეტყოდა:

— ეს რა უბედურება დამემართა! შენი ტანსაცმელი მშვენივრად შევლეგე და გასაშრობად გავკიდე. მაგრამ ვიღაც საზიზღარმა ქურდმა მომპარა.

ასე ატყუებდა აბუ-კირი ყველას, ვიდრე მოსამართლემ არ ბრძანა, აბუ-კირის სამღებრო დაეხურათ.

აბუ-სირი მეზობელს ურჩევდა, ალაღმართლად იცხოვრეო, მაგრამ აბუ-კირი ყურს არ ათხოვებდა. სახელოსნო რომ დაუხურეს, ისევ აბუ-სირის მიაღდა:

ერთმანეთს გაარიდეს, ხელში აიუკანეს და მიეფერნენ:

— რა გეტკინა, ჩემო ფისო? უუ, რა სამაგვლია ფასო, რომ არ იჩხუბოს, არ შეუძლია, — ამბობდა მარინე.


— რაო, რაო? ჩემი ფასო კი არა, შენი სამაგვლი ფისოა დამნაშავე, აკი იმ წინაზეც მაგან ატესა ჩხუბი, — ცხარობდა ირინე.

— შენი ფასო ხომ ქურდბაცაცაა! დიდუფას თევზი მოჰპარა! — ნიშნის მოგებით უთხრა მარინემ.

— როგორ არა! იმიტომ ამბობ მაგას, რომ შენი ფისო ბინძურია, ლამაჰქვიდან რმე იატაკზე დაღვარა.

ამ ჩხუბში იუენენ გოგონები, რომ კნუტები ხელიდან დაუსხლტათ, საიდანღაც მატკლის გორკლი გამოათრიეს და თამაში დაიწყეს, ვითომც აქ არაფერიაო. ფისო და ფასო სახდასან შეჩერდებოდნენ, გაოცებულები უურს უგდებდნენ მოჩხუბარ მგობარებს და შერე თითქოს ერთმანეთს კრუტუნით ვუხუბოდნენ:

— ნეტავ რა მოუვიდათ მარინეს და ირინეს, რად არ გაჩერდებიან? ჩვენ უკვე შეგრიგდით, ერთად ვთამაშობთ და მაგათ რაღა აჩხუბეთ!



— ეს ქალაქი საჩვენო არ არის, მო-  
ლი, სხვა ქვეყანაში წავიდეთ!

არც აბუ-სირი იყო მადლიერი თა-  
ვისი ხელობისა, ამიტომ დათანხმდა და  
მხოლოდ ეს უთხრა:

— პირობა დავდეთ, რომ შენც იმუ-  
შავებ და ნაშოვარს კი შუაზე გავი-  
ყოფთ.


რამდენიმე ღღის შემდეგ აბუ-სირი  
და აბუ-კირი ჩახსდნენ ხომალდში. ბევ-  
რი მუშტარი აღმოუჩნდა ხომალდზე  
დალაქ აბუ-სირს. ასე რომ მისი წყალო-  
ბით აბუ-კირსაც არ აკლდა სასმელ-საქ-  
მელი.

ათი ღღის შემდეგ ხომალდი ერთ  
ღიდ ქალაქს მიადგა. მეგობრებმა გადა-  
წყვიტეს, იქ შეჩერებულებიყვნენ.

აბუ-სირი დილაადრიან ღებოდა და  
ლუკმაპურის საშოვრად მიდიოდა, აბუ-  
კირს კი ისევ ეძინა. როცა გაიღვიძებ-  
და, თავს მოიავადმყოფებდა და თან  
აბუ-სირის ნაშოვარს გემრიელად შე-  
ეჭქეოდა.

გადიოდა ხანი. ერთხელ აბუ-სირი  
ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა.

აბუ-კირმა მეგობარს მოჰპარა ტანი-  
სამოსი, ფული; გაიკეტა კარი, აბუ-  
სირი უპატრონოდ მიატოვა და ქალაქის  
ბაზრისაკენ გასწია. სამღებროებში შეი-  
ხედა და ძლიერ გაუკვირდა, რომ დახლ-  
ზე ლურჯი ტანსაცმლის გარდა სხვა  
ვერა დინახა რა. გამუღღელ-გამომუღღელ-  
საც ყველას ლურჯი ან თეთრი ფერის  
ტანსაცმელი ეცვა. მაშინ აბუ-კირმა ჯი-  
ბიდან თეთრი ხელსახოცი ამოიღო და



მღებავს სხოვა, წითლად შემიღებო.

— ჩვენ ლურჯი ფერის ვარდა სხვა საღებავი არ ვიცი!—მიუგო მღებავმა.

აბუ-კირმა უთხრა: შეგირდად ამიყვანე და სხვადასხვა ფერად შეღებვას გასწავლიო.

— ჩვენს სახელოსნოში უცხოს არ ვღებულობთო,—მიუგო ისევ მღებავმა.

აბუ-კირი ახლა მეორე მღებავს მიაღდა, მესამეს, მეოთხეს, მაგრამ ყველამ უარით გაისტუმრა. მაშინ გადაწყვიტა, მეფეს ხლებოდა. მეფემაც ბრძანა, მიეცათ მისთვის დიდი სამღებრო ქალაქის მთავარ ქუჩაზე.

ბევრი ქსოვილი მიჰქონდათ შესაღებად აბუ-კირთან და ისიც მალე გამდიდრდა. მაგრამ ერთხელაც არ მოჰკონებია თავისი მეგობარი აბუ-სირი, რომელიც გულკეთილად ემსახურებოდა გაქირვევაში.

აბუ-სირი კი ამ დროს უპატრონოდ ეგდო ლოგინში. სახლის პატრონს ძალიან შეეცოდა მისუსტებული აბუ-სირი და თავისი მსახური მიუჩინა, ავადმყოფს მიხედვო. აბუ-სირმა ქისა გახსნა, რომ სახლის პატრონის ვალი გაესტუმრებინა, მაგრამ სადღა იყო ქისაში ფული!

სახლის პატრონი უვლიდა აბუ-სირს,

ვიდრე არ მოაჩინა და გამოაჯანმრთელა.

ერთხელ აბუ-სირმა ქალაქის ბაზარში ჩაიარა. დიდ სამღებროში აბუ-კირი რომ დაინახა, გაუხარდა და მეგობარს მიაშურა.

აბუ-კირმა კი ასე მიმართა აბუ-სირს:

— რამდენჯერ უნდა ვითხრა, შე საზოხარო ქურდო, კარებში ნუ დგახარმეთქი. სხვისი ტანსაცმელი გინდა მომპარო?... ახლავე შეიპყარით!—უბრძანა მან მსახურებს.

მსახურებმა სტაცეს ხელი აბუ-სირს, მაგრად მიბეგვეს და გააგდეს.


ნაცემ-ნაბეგვი აბუ-სირი შინ დაბრუნდა. მეორე დღეს აბანოში წავიდა. მაგრამ მთელ ქალაქში აბანო ვერსად ნახა და ხალხს ჰკითხა:

— სად შეიძლება ადამიანმა იბანოს?

— ჩვენ ზღვაში ვბანაობთ!—უპასუხეს.

აბუ-სირი გაეპართა მეფისაკენ და თავისი განზრახვა მოახსენა. მეფემაც ბრძანა, აეშენებინათ დიდებული აბანო ქალაქის შუაგულში. აბანოს ეწვივნენ ქალაქის თავაკები და ვეზირები, ხალხიც განუწყვეტლივ ბანაობდა. გამდიდრდა აბუ-სირი. მან არ დაივიწყა ძველი სახ-





ლის პატრონი, მიიწვია და ძვირფასი საჩუქარი მიართვა.

აბუ-კირის ყურამდეც მიაღწია აბანოს ქებამ და იქით გასწია. აბანოში აბუ-

სირი რომ დაინახა, ხელგებაშლილი გვე მართა მისკენ:

— სად არ გეძებე, მაგრამ შენი ამბავი ვერსად გავიგე. სად დაიკარგე, ძმაო?

— შენ არ იყავი, სახელოსნოდან კინწისკვრით რომ გამაგდებ?

— რას ამბობ, ძმაო, ერთი შენი მსგავსი კაცი შემოგჩვია ჩემს ღუქანს და ტანისამოსს მპარავდა. მაშინ მოუცლელად ვიყავი და ვერ გავარკვიე, ვინ იყო. გრცხვენოდეს, რომ არ გამოემცნაურე და შენი სახელი არ მითხარი.

აბუ-სირმა სიმართლედ მიიღო მეგობრის ნათქვამი, ბოდრიში მოუხადა და დიდი პატივი სცა.

— გონიერი დალაქი ხარ, მაგრამ ერთი რამ კი დაგვიწყებია. როდესაც მეფე მოვა აბანოში, უთუოდ გაპარსე. ამით უფრო მეტად ასიამოვნებ, — ურჩია აბუ-კირმა.

აბუ-სირმა გულწრფელ რჩევად ჩათვალა აბუ-კირის ნათქვამი და გადაწყვიტა, ასეც მოქცეულიყო. ხოლო აბუ-კირი მეფესთან გაეშურა და მოახსენა:

— თქვენ რომ შარშან კუნძულთა მეფე დაამარცხეთ, იმას თავისი ქვეშევრდომი შემოუპარებია აქ და თქვენს მო-





კვლაში დიდ ჯილდოს შეჰპირებია. ის გაიძვერა თავის აბანოში მიგიწვევთ და წვერის გაპარსვას დაგიპირებთ. უკვე გაღვსილი აქვს მოწამლული სამართებელი. ჰოი ბატონო, უფრთხილდით, და აღიდეთ ალაჰი, რომ ამ ხიფათს გადაგარჩინოთ.

მეორე დღეს აბუ-სირი მივიდა მეფესთან და მიიწვია აბანოში. როდესაც აბუ-სირმა წვერის გაპარსვა შესთავაზა, მეფე განრისხდა და ვეზირს უბრძანა, აბუ-სირი ტომარაში ჩაესვათ და ზღვაში გადაეგდოთ.

ვეზირის დაენანა ზრდილი და გონიერი აბუ-სირი. ამიტომაც ურჩია: ჩემს სახლში დაგმალავ და მერე პირველივე ხომალდით შენს ქვეყანაში დაბრუნდი; ტომარა კი ქვებითა და ქვიშით ავსებინა. აჰკიდა მსახურს და სასახლის

სარკმელქვეშ გააჩერა. მეფემ ხელით ანიშნა, ტომარა ზღვაში გადაეგდოთ. მსახურმაც გადაისროლა. ხელის აქნევისას მეფეს თითიდან

გრძნეული ბეჭედი წასძვრა და ზღვაში ჩავარდა. შეწუხდა დიდად მეფე.

ერთხელ აბუ-სირი ზღვის პირას თევზაობდა. თევზი ბლომად დაიჭირა. შინ ერთი თევზი რომ გაჭრა, შიგ მეფის ბეჭედი ნახა. გაეშურა მეფისაკენ და ბეჭედი უკან დაუბრუნა.

— მითხარი, რითი გადაგიხალო სიკეთე?— შეეკითხა მეფე.

— რად გამირისხდით, მეფეო?— შეპბელა აბუ-სირმა.

მეფე მოუყვა აბუ-კირის ნათქვამს, აბუ-სირის სიმართლეში დარწმუნდა და საშინლად განრისხდა. ბრძანა, აბუ-კირი ჩაესვათ ტომარაში და ზღვაში გადაეგდოთ. აბუ-სირს შეეცოდა აბუ-კირი და მეფეს სთხოვა, ეპატიებინა ყოველივე-მაგრამ მეფემ არ შეიწყნარა და აბუ-კირს წილად ხვდა სწორედ ის ბედი, როგორსაც აბუ-სირს უქაღდა.

არაბულიდან თარგმნა ო. ქაჯაიამ





კოდალა

ყარანა

მარცხალი

ბოლოცაცხლა

სპვინჩა

მოსია

წიწკანა

შაჰჰი

ბოროლა

ბოლოქანქალა

## ჩვენი მეგობრები

ნახატი ი. არღვიშვილისა

ეს ფრინველები ჩვენი ტყეებისა და ბაღ-მინდვრების მცველებია: ისინი უღვტენ ჭიადებს, მავნე მწერებს.

გაუფრთხილდი ჩიტებს! თუ შეგიძლია, ბუდეც გაუკეთე. აღამიანისათვის მათ დიდი სიკეთე მოაქვთ.

### ყდის მხატვრობა გეუთნის შ. მხალაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კალკია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფტოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბაგოცაძის ოცდამეთორმეტე წელი ფასი 2 მან.

ტიპ. რედაქტორი ი. არღვიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბჭოთაში, ჩედექვის მისამართი: თბილისი, პუშკინის პარკი. 81, ტელ. 3-37-38. გამოშვ. შუკვ. № 604, სტამბის შუკვ. № 202 ტარაში 28000 ფა 01807. ჩელმორფრილია დასაბუხად 5/11 1959 წ. ფრანკი დახედილია ლითონუსტურ ჰეკდის ფარკაშე  
 Д И Л А — еженесячий детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республканского совета организацни зоних пионеров им. В. И. Ленина № 3, март 1959 г. Тблжиси, Пресс. Плеханова 91.